ს.ს.რ. საპატრიოტო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲒᲕᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 ᲬᲔᲚᲘ
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ
1
ᲛᲐᲘᲡᲘ
№ 102 (17447)
ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ გაზაფხულის დიადი დღესასწაული — 1 მაისი — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. ეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრი იარაღის—მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვების მძლავრი დემონსტრაციაა. ეს საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — ლენინური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამარჯვების დიადი დემონსტრაციაა. ამ გამარჯვების საფუძველი პარტიისა და ხალხის მტკიცე, ურღვევი ერთიანობაა. ჩვენი ხალხის, კომუნისტური პარტიის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს წინსვლისა და გამარჯვებების უშრეტი წყაროა კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და ხელმძღვანელის — დიდი ლენინის სახელი და საქმე, მისი უკვდავი იდეები.

პირველი დეკრეტი, რევოლუციის დიდი ბელადის ხელმოწერით რომ გამოიცა, მშვიდობის დეკრეტი იყო, და მას აქეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, მისი წარმმართველი ძალა კომუნისტური პარტია — მუდამ ერთგული არიან მშვიდობის ლენინური პოლიტიკისა. ამ პოლიტიკის ხორცშესხმისათვის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის დაუცხრომლად იბრძვის ლენინის დიადი საქმის განმგრძობი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომლის ღვაწლიც სულ ახლახან ლენინური პრემიით აღინიშნა. მშვიდობისათვის პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა ნათლად აისახა ლენინურ პრემიამინიჭებულ ეპოპეაში — „მცირე მიწა“, „ყამირი“ და „ალორძინება“, კომუნიზმის მშენებელმა, ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევრულად მებრძოლმა საბჭოთა ხალხმა გულითადად რომ მიიღო, სადღესასწაულო და მომავლის სამოქმედო პროგრამად რომ გაიხადა.

მშვიდობას, რომლის სიმბოლოც 1 მაისის დღესასწაულია, მოპოვება უნდა. ეს მშვიდობა კი მოიპოვება დაუცხრომელი, შეუპოვარი შრომით კომუნიზმის მშენებლობისათვის. როგორც ომში გამარჯვება გმირული ბრძოლით უჭედიათ, ასევე დღეს მშვიდობას გმირული შრომითვე ჭედენ საბჭოეთის გმირი მუშათა კლასი — კომუნიზმის მშენებლობის წამყვანი ძალა, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია — კომუნიზმის აქტიური მშენებლები. საბჭოთა მთავრობას, პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამით რომ ხელმძღვანელობს, საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში თავისი საქმიანობის მთავარ მიზნად მიიჩნია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება: მისი შეუნელებელი ზრუნვის საგანია შეაჩეროს გამალებული შეიარაღება, განახორციელოს საჭირო ღონისძიებები განიარაღების დარგში და შექმნას რეალური პირობები, რომ ყველა ქვეყანა აღმშენებლობითი მიზნით იყენებდეს თავის რესურსებს.

სწორედ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური გაძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით მოუწოდებს პარტია საბჭოთა კავშირის მშრომელებს გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, აამაღლონ ეფექტიანობა და ხარისხი ყოველ სამუშაო ადგილას, იბრძოლონ 1979 წლის გეგმის, მეათე ხუთწლედის დავალებათა ნამატებით შესრულებისათვის.

თავისი შრომის შედეგები კმაყოფილი და მით უფრო — შრომაში გამარჯვებული ხომ უფრო ხალისიანად, წელგამართული, თავაწეული გამოდის ზეიმზე. ზეიმი ხომ გამარჯვებულთა ხვედრია. ამ დიდი ხვედრით შეუძლია იამაყოს დღეს კონსტიტუციურ საქართველოს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას — საბჭოთა კავშირის თანასწორთა შორის თანასწორ რესპუბლიკას. დღეს ამ ზეიმზე გამოაქვს მას სადღესასწაულო დროშები, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ მეექვსედ გამარჯვების ამაყად მფრიალე დროშა. ამ დროშას ანერია რესპუბლიკის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, კულტურაში მოპოვებული გამარჯვება; მრეწველობაში წარმოების მატების ტემპისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ საბჭოთა კავშირში რესპუბლიკის პირველ ადგილზე გამოსვლა; რესპუბლიკის წინსვლა ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე. ეს არის სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ორი ათასამდე სახეობის ნაწარმი, ეს არის ენგურჰესის ახალი აგრეგატები; ეს არის ჯერ არნახული მაჩვენებელი სახალხო მოხმარების საგნების გამოშვებაში; ეს არის 24 ათასი ოჯახის ახალმოსახლეობა, ჩაისა და ყურძნის უმაგალითო მოსავალი, ციტრუსების, ხილის, მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვე. დღეს ჩვენს საზეიმო დროშებზე წარწერილია ქართული მეცნიერებისა და კულტურის ახალი გამარჯვებები, ახალ მეცნიერულ მიღწევათა და მონაპოვართა დანერგვა, მეცნიერთა რიგების ზრდა, სახალხო განათლების აღმავლობა, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატთა ახალი სახელები, ლიტერატურისა და ხელოვნების ახალ ნაწარმოებთა შემომატება ეროვნული კულტურის ოქროს ფონდში; ეს არის წინსვლა და სამეურნეო-კულტურული აღმავლობა აფხაზეთს, აჭარასა და ოსეთში, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენს მთასა და ბარში — ყოველივე ამას სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის შეუნელებელი ბრძოლით მივაღწიეთ.

დღეს ზეიმია საქართველოში, ჩვენ გვახარებს შეუნელებელი სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული აღშენება რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, მონშენდილი ცა და შემოქმედებითი შემართებული შრომისათვის, ნორმალური ყოფისა და დასვენებისათვის აუცილებელი ჯანსაღი შორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი; ჩვენ გვაქვს ხვალინდელი დღის რწმენა, ჩვენ მშობლიური ლენინური კომუნისტური პარტიის, უძლეველი საბჭოთა ხალხის ერთგული ვართ და ვშრომობთ რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული აღშენებისათვის, კვლავაც ვუერთგულებთ ჩვენს საქმეს და ამით ვამრავლებთ საქართველოს მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს, ვასახლებთ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც პარტიის მგზნებარე სიტყვებით მოგვიწოდებს:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ! ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

დღევანდელი თავდადებული შრომა გაწეულია უკეთესი მერმისისათვის, ჩვენი მომავლის კეთილდღეობისათვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების, ჩვენი ცხოვრების ყვავილთა — ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის.

პირველმაისობის ამ საზეიმო დღეს ჩვენ მადლობის გრძნობით მივმართავთ საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს და ვადიდებთ დედას, რომელიც თავისი გულის სითბოს ახმარს შვილების — სოციალისტური სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდას!

ქვეყნად მტკიცე მშვიდობა რომ იყოს, საჭიროა მსოფლიოს ხალხთა ბრძოლის გაძლიერება გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღკვეთისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების! გაღრმავებისათვის. მათ იბრძოლონ, რომ ძალის გამოუყენებლობა დაკანონდეს საერთაშორისო ურთიერთობაში, ბირთვული იარაღი კი სამუდამოდ აიკრძალოს.

საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა მშვიდობის ბურჯი და კაცობრიობის იმედია, მას საფუძვლად უდევს სკკპ XXV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲬᲘᲜ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲔᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადაზე ადრე, 30 აპრილისათვის შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის იანვარ-აპრილის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ისეთმა კოლექტივებმა, როგორიც არის: **თბილისის** „საქნაკეთობის“, საქსამთოქიმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“, „ელვას“, წინდის, „თბილისღვინოს“ საწარმოო გაერთიანებების, სტალინის სახელობის ელექტროგაზომვამეკეთებელი ქარხნის, კერამიკის, საშენ მასალათა, კონიაკის კომბინატების, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“, ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის, პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის“ კოლექტივებმა; **ქუთაისის** საავტომობილო, რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნების, ავეჯის კომბინატის; **რუსთავის** მეტალურგიული, ლითონკონსტრუქციების ქარხნების; **სოხუმის** ხელსაწყოსაშენებელი და ელექტრონულ-გაზის აპარატურის ქარხნების; **ბათუმის** მანქანათსაშენებელი, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნების; **ცხინვალის** ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“; **ჭიათურის** სამთამადნო კომბინატის; **ზუგდიდის** ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის; **ხაშურის** საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკის; **ცხაკაიას** ხალიჩების კომბინატის; **მარნეულის** საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულისა“ და **ფოთის** ჰიდრომექანიზმების ქარხნის კოლექტივები.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 30 აპრილისათვის შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების იანვარ-აპრილის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი „ელექტროაპარატის“, „ელვას“, წინდის, „თბილისღვინოს“ საწარმოო გაერთიანებების, სტალინის სახელობის ელექტროგაზომვამეკეთებელი ქარხნის, კერამიკის, საშენ მასალათა, კონიაკის კომბინატების, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“, № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის, პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის“ კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დედაქალაქი თბილისი პირველ მაისს ხვდება აყვავებული ბაღებითა და პარკებით, თავის მკვიდრთა ხალისიანი განწყობილებით, რომლებიც ახალ შრომითს წარმატებებს უპატაკებენ სამშობლოს.

პირველი მაისის წინ ქალაქში აღიმართა ახალი სახლები, ფართოდ გაიღო ახალი კინოთეატრების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების კარები. მშვიდობისა და შრომის სასახელო დღესასწაული დაემთხვა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკებში სეზონის გახსნას.

თბილისის მრავალრიცხოვან პარკებს შემატა კიდევ ერთი — ახალგაზრდობის პარკი. იგი გაშენდა 26 კომისრის სახელობის რაიონში — ახალი ავტოვაგზლის პირდაპირ. აქ უკვე ხარობს ლარიქსი, იფანი, გაშენებულია გაზონები. ეს ერთხელ კიდევ მაყურებელ მოწმობს, თუ როგორ ხორციელდება თბილისის 37-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის დევიზი — გადავაქციოთ თბილისი ბაღნარად.

საპირველმაისო დღესასწაულის წინ პარკს ეწვივნენ და აქ ხეები დარგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, გ. ვ. კოლბინმა, ჯ. ი. პატიაშვილმა, თ. ნ. მენთეშაშვილმა, ე. კ. შარტავამ.

ამ დღეს ისინი ეწვივნენ ახალ კინოთეატრ „მეგობრობას“, რომელიც გლდანის მასივში გაიხსნა. კინოთეატრს აქვს ორი — 400 და 200-ადგილიანი დარბაზი. მათ დაათვალიერეს აგრეთვე საკავშირო ცენტრები გლდანის მასივში, წერაქთლის პროსპექტზე, ახალი მოედანი სასტუმრო „ივერიის“ წინ. (საქინფორმი).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მე-60 წლისთავის სახელობის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის მემანქანემ ეთერ ქუთათელაძემ მეათე ხუთწლედის გეგმა შეასრულა. მან ივალდებულა 1980 წლის ბოლომდე კიდევ ერთი ხუთწლედის დავალება შეასრულოს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲗᲑᲘᲚᲒᲕᲘᲠᲐᲑᲐᲛᲨᲔᲜᲘᲡ № 29 შახტის კოლექტივში თავდადებით შრომობს მებიგე გ. ცირეკიძე. ამ ორგანიზაციაში მუშაობის ორი წლის მანძილზე მან თანამოსაქმეთა სიყვარული და კარგი სახელი მოიხვეჭა.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ᲛᲝᲗᲐᲕᲔᲜᲘ

48-Ე ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ სასწავლებლის პედაგოგიურ კოლექტივს შეუძლია იამაყოს თავის აღზრდილით — მ. ოდიშვილით. ის ახლა თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშაა და ყოველდღიურ ნორმებს 120 პროცენტით ასრულებს.

ვ. ᲒᲔᲜᲑᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲡ ყველა პროფესიას ფლობს გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა ხ. მწითური. ის ახლადდა მექანიზატორების ჩინებული დამრიგებელია.

Ხ. ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲘᲡ ფოტო.

„ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

25 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნ. ნ. ბლოხინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა შემოსული წინადადებანი 1977-1978 წლების საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე. (საკდესი).

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

1977-1978 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები მიენიჭოთ:

ᲙᲣᲠᲢ ᲒᲐᲰᲛᲐᲜᲡ — საზოგადო მოღვაწეს, გერმანელთა კომპარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

ᲤᲠᲘᲓᲐ ᲑᲠᲐᲣᲜᲡ — საზოგადო მოღვაწეს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტს (ავსტრალია)

ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲓᲔᲕᲘᲡᲡ — საზოგადო მოღვაწეს (ამერიკის შეერთებული შტატები)

Ჯ. ᲞᲐ. ᲨᲘ. ᲛᲔᲜᲝᲜᲡ — საზოგადო მოღვაწეს, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების პრეზიდენტს (ინდოეთი)

ᲒᲐᲚᲘᲜᲐ ᲡᲘᲝᲑᲜᲔᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ — არქიტექტორს, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა)

ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛ ᲔᲡᲞᲘᲜ ᲒᲘᲚᲘᲝᲗᲘᲡᲡ — საზოგადო მოღვაწეს, კუბელ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარეს (კუბა).

კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ნ. ᲑᲚᲝᲮᲘᲜᲘ** (სსრ კავშირი). კომიტეტის წევრები: **Ა. ᲕᲐ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘ** (სსრ კავშირი), **ᲚᲣᲘ ᲐᲠᲐᲒᲝᲜᲘ** (საფრანგეთი), **ᲔᲠᲘᲙ Ჯ. Ს. ᲑᲣᲠᲝᲠᲘ** (დიდი ბრიტანეთი), **ᲛᲘᲠᲘᲐᲛ ᲕᲘᲠᲔᲢᲣᲝᲛᲘᲜᲔᲜᲘ** (ფინეთი), **ᲠᲔᲜᲐᲢᲝ ᲒᲣᲢᲣᲖᲝ** (იტალია), **ᲐᲜᲐ ᲖᲔᲒᲔᲠᲡᲘ** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, **ᲙᲔᲨᲐᲕ ᲓᲔᲕᲐ ᲛᲐᲚᲐᲕᲘᲐ** (ინდოეთი), **ᲡᲘᲚᲕᲘᲚᲝ ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲚᲘᲝ** (კუბა), **ᲒᲐᲣᲢᲔᲜ ᲗᲘᲜ ᲑᲘᲜ** (ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა), **Ჯ. Მ. ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ** (სსრ კავშირი), **Ნ. Ვ. ᲢᲝᲛᲡᲙᲘ** (სსრ კავშირი), **ᲘᲣᲖᲔᲤ ᲪᲘᲠᲐᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘ** (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა), **ᲙᲐᲝᲠᲣ ᲘᲐ ᲡᲣᲘ** (იაპონია).

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲡ—ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲚᲔᲡ!

— ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ.

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ Გ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲘᲡ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲘ.

ᲡᲐᲛᲐᲘᲡᲝ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ

▲ **ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ** შრომობს ხუთწლედის მეოთხე წელს დედაქალაქის კამეოლური დართვის ფაბრიკის (დირექტორი — თ. ტეტუნაშვილი) კოლექტივი, რომელიც ამ ბოლო ორი წლის მანძილზე სტაბილურ მაჩვენებლებს აღწევს და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს როგორც გეგმებს, ისე ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

საპირველმაისო შრომითს ვახტზე მდგომმა მრთველებმა ამ დღეებში კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, მათ ვადაზე ადრე გაანაღდეს როგორც პროდუქციის წარმოების, ისე მისი რეალიზაციის იანვარ-აპრილის დავალება. მომხმარებლებს 100 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ნაწარმი მიაწოდეს, გასულ პერიოდში კი 200 ათას მანეთზე მეტი ღირებულების მთლიანი პროდუქცია აწარმოეს. შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელმა აქ სამ პროცენტს მიაღწია. **„კომუნისტის“ კორ.**

▲ **ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ.** (საკ. კორ.). ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა 4 თვის დავალება. 26 აპრილისათვის გამოუშვა 3669 ცალი შუდმიკი დენის ელექტროძრავა — საგეგმოზე 34-ით მეტი.

საპირველმაისო შრომითს ვახტზე დამკვრელურად შრომობენ და კოლექტივის საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ ხარატ გიორგი მანჯავიძეს, ხრახნმჭრელ რაისა კოლესოვას, მხეხავ ლენა ავაქიანს. ბრიგადებს შორის გაშლილ სოცშეჯიბრებაში კი დაწინაურდნენ ამწყობ ზეინკალთა და გამხოლოებელთა ბრიგადები, რომელთაც ნუგზარ მერაბიშვილი და ვალია მელიქიძე ხელმძღვანელობენ.

ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილება იყო პირველ მაისამდე დარჩენილ დროში გეგმის გადამეტებით გამოეშვათ კიდევ 100 ცალი შუდმიკი დენის ძრავა.

ჩვენებური ულიანოვები

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში წინასაპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდა. საუკეთესოთა შორის საუკეთესოებად შრომის ვეტერანი მუშები — ძმები ვლადიმერი, ვიქტორი, ალექსანდრე და ვიქტორ ულიანოვები ცნეს. ასე იყო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დამლევს, ასე იყო შარშან, შარშანწინ...

შუახანს მიტანებული, ატლეტური აღნაგობის ვაჟკაცები, მთელი საწარმოს სათაყვანონი რომ არიან, ჩვენებურები ყოფილან. წყნეთში დაბადებული მათი პაპის პაპა, პაპაც და მამაც. ბედს ულიანოველთა წინაპარი, ტამბოველი ივანე, ჩვენს მხარეში მოუყვანია. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ აქეთ წამოსული იმ ჯარის ნაწილებში ყოფილა, წყნეთში რომ განლაგებულან. შორი გზა გამოვლილი ჯარისკაცები ცოტახანს დაუსვენებიათ, მერე მწყობრში დაუყენებიათ და უთქვამთ: სანამ 25 წყვილ ჩექმას არ გაკეთებთავთ, სამშობლოში დაბრუნებაზე ტყუილად არ იოცნებოთო. თან ისიც დასძინეს, რომ წელიწადში ერთი წყვილი ჩექმის შეტი არ გეკუთვნითო.

შეგუებულა ბედს ივანე, რამდენიმე წლის შემდეგ უკორწილია. გამრავლებულან და დაზრდილან ულიანოვები. ზოგი სად წასულა და ზოგი სად.

ჩვენი ნარკვევის გმირებს კი ბედი თბილისს ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნისთვის დაუკავშირებიათ.

ვლადიმერ ულიანოვს, საშემდეგოდ ცნობილ საამწყობო საამქროს ოქროსხელებიან ოსტატად რომ ითვლება, 26 წლის მოღვაწეობის სტაჟი ჰქონია. ამაყობს თავისი პროფესიით და გულით ცდილობს ახალგაზრდა მუშებსაც შეაყვაროს ელექტრომანქანამშენებლის შესანიშნავი სპეციალობა. შვილი — იგორი ორიოდე წლის წინათ მოსულა ქარხანაში, ჯერ მამის მხარდამხარ უმუშავია, მერე პირველ საამწყობო საამქროში გადასულა და ზეინკლობა დაუწყია. შმობლებისათვის უთქვამს, ჩემ მოწოდებას მივაგენი და შემდეგ-ლად რატომ ვიწვალოო.

ოსტატობის დახვეწაში იგორს ბიძამისი — ვიქტორ ულიანოვიც ეხმარება. ვიქტორს, როგორც ზეინკალს, საამწყობო საამქროში ბადალი არა ჰყავს. ასე რომ ახალგაზრდა იგორი ბიძის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. მისი საქმიანობით ყოველთვის დაინტერესებული დედაც — ქარხნის ცენტრალური ბუღალტერიის თანამშრომელი მარიამ ულიანოვა. თუმცა მისდამი უყურადღებობას არც ბიცოლამისი, ვიქტორის მეუღლე —ევდოკია ულიანოვა იჩენს. ევდოკია ნიკიფორეს ასული საამწყობო საამქროს გვერდით შენობაში პლასტმასის დეტალების ლაბორატორიის ზეინკალ-გამამჯობესებელია და მთელი კოლექტივის სათაყვანო ადამიანია. ევდოკია და ვიქტორ ულიანოვებს ერთი კვირის წინ შვილი ოლეგი საბჭოთა არმიის რიგებში გაუცილებიათ და მთელი ყურადღება იგორზე გადაუტანიათ.

— სამსახურში გაწვევამდე, — გვიამბობს მისი დამრიგებელი, — ოლეგი საექსპერიმენტო საამქროს მოწინავე ბარატი იყო. თანამოსაქმეთა შორის კაცური კაცის სახელით სარგებლობდა. წასვლის წინ მშობლებს და ამხანაგებს დაპირდა: არ შეგარცხვენთ, სამშობლოს წინაშე ჩემს ვალს პირნათლად მოვიხდი და ქარხანაში ისე დაგბრუნდებიო. ოლეგის გაცილებაზე თბილისში მცხოვრებმა ნათესავმა ულიანოვებმა შეიყარეს თავი. თამადად უმცროსი ბიძა — ვიქტორი დანიშნეს და ისიც უთხრეს: აბა რა ბიჭიც ხარ, აქაც გვაჩვენეო. „უმცროსი“ ვიქტორი ელექტროსამანქანო საამქროს უბადლო ბარატი და აღიარებული დამრიგებელია.

თამადამ უმცროს-უფროსობის წესი მაინც არ დაარღვია და პირველი სიტყვა ულიანოვების დიდი ოჯახის თავკაცს ალექსანდრეს მისცა: — შენი ვალი როგორც მოქალაქის სამშობლოს და საზოგადოების წინაშე, ჩემო ოლეგ, ორკეცდება, — უთხრა ალექსანდრემ.—ატარებდე ისეთი დიდი ადამიანის გვარს, როგორიც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვ. ი. ლენინი იყო, ადვილი როდია. არასოდეს არ უნდა უღალატო მუშათა კლასის მდიდარ რევოლუციურ ტრადიციებს,

ალექსანდრე ულიანოვი მუშათა კლასის ბრწყინვალე წარმომადგენელია. კოჯრებისა და გრაგნილების დამამზადებელ საამქროში ბრიგადებს შორის გაშლილ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მისმა ბრიგადამ ვადამდე და წარმატებით გაანაღდა ხუთწლიანი დავალება და ახლა უკვე 1981 წლის მაისის ანგარიშში მუშაობს. ამაკე საამქროში შრომობს გამამხოლოვებელ-ზეინკლად ალექსანდრეს მეუღლეც — დეიდა ნინო, როგორც მას სიყვარულით მიმართავენ ხოლმე ახალგაზრდები.

როცა ოჯახის წევრებზე ჩამოვუგდეთ ლაპარაკი, თვალები გაუბრწყინდა. სიამოვნებით შეგვატყობინა, რომ შვილი იური მხატვარი-დეკორატორია და ამჟამად მოსკოვშია. საქართველოდან წარგზავნილთა შორის ოლიმპიადის სპორტული ობიექტების მშენებლობაში მონაწილეობს. საერთოდ, ალექსანდრესა და ნინო ულიანოვების შვილებს ხელოვნებისაკენ ჰქონიათ მიდრეკილება. ქალიშვილს ირინეს ბალეტის სუყვარული ჩაუდვია გულში და მეზნისათვის კიდეც მიუღწევია.

საღამოობით, განსაკუთრებით დასვენების დღეებში, ძმები ულიანოვები ოჯახებითურთ ხშირად იკრიბებიან, ერთი მეორის აკვარეს იკითხავენ, წარსულის ამბებს მოიგონებენ, მომავლის გეგმებს სახავენ. ერთმანეთის სანახავად შორს წასვლა როდი სჭირდებათ. ოთხივე ძმები თავიანთ ქართველ, სომეხ, რუს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის დასახლებაში ძმურად ცხოვრობენ, ცხოვრობენ შესანიშნავ კეთილმოწყობილ ბინებში, ბედნიერად, შვილების კარგი მომავლისა და მშვიდობის იმედით.

დიახ, ცხოვრობს თბილისში ოთხი ელმავალმშენებელი ძმა — ულიანოვები ქართველ ძმებთან ერთად. ისინი დიდი სიხარულითა და პატრიოტული გრძნობით უკრავდნენ ტაშს საქართველოში ელმავალსაშენებელი ქარხნის დაარსებას, აღფრთოვანებული შეხვდნენ პირველი ქართული ელმავლის ვლ-8 გამოშვებას.

ულიანოველთა ბიოგრაფია — ეს თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ისტორიაც არის. მათი გვარი ოქროს ასოებით შევა საწარმოს ისტორიაში.

დღეს ქარხნის მრავალათასიან კოლონაში ისინი, როგორც ტოლნი ტოლთა შორის, მეგობარნი მეგობართა შორის, მტკიცედ მიაბიჯებენ საპირველმაისო ზეიმზე დიდი ლენინის მოედნისაკენ.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

ფართო მდინარედ, მოფრიალე დროშებით დაიძრება დღეს დემონსტრანტთა ნაკადი ამწვანებული რუსთაველის პროსპექტით, ორკესტრების ხმებით და მხიარული სიმღერებით აივსება ქუჩები. განსაკუთრებით კარგი გუნებით ხვდებიან დღესასწაულს თბილისის ლენინის რაიონის მშრომელები, რაიონისა, რომელიც ცნობილია თავისი სახელოვანი რევოლუციური წარსულით. მათ ხომ ქალაქის რაიონებს შორის საპირველმაისო ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით უფლება მოიპოვეს უმეთაურონ სადღესასწაულო დემონსტрацია.

რაიონის მოწინავე საწარმოთა შორის არის თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივი. მის კოლონას სათავეში უდგანან საწარმოს მოწინავენი და კომუნისტური შრომის დამკვრელები, რომელთა შორის ჩვენებური ულიანოვებიც არიან.

სურათზე: საპირველმაისო დემონსტрацის მონაწილენი, ქარხნის მოწინავეთა ჯგუფი (მარცხნიდან), პირველ რიგში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი ი. გელაშვილი, ბრიგადირები გ. მეტონიძე და ლ. ვარდოსანიძე; მეორე რიგში — მღარავი კ. ორაგველიძე, ზეინკალი ჯ. მშვიდობაძე, ბარატი ვ. გონჩაროვი და ზეინკალი გ. ხეცურიანი; მესამე რიგში — ბრიგადირი ა. გელაშვილი, ამწყობი ზეინკალი გ. მაისურაძე და ბრიგადირი მ. გოგოლაძე.

ვლ. ბინზაბურგის ფოტო.

მომავლის ავტორიზონტები

— **როგორ** ხართ, რას შეჯერებით ძმები? — ეკითხა კაცმა.

— დავიფანტენით: ორნი თბილისში ცხოვრობენ, ერთი ქუთაისშია.

— თქვენღა ერთგულებთ ბიბლიოთეკებს? — ... ზაბავრას?

— უფრო ახალგაზრდა ... ვიყო, მეც წავიდოდი ...

— შენ რომ წახვიდ... — ... დაინგრევა.

— მაშ არ წავიდე? მარტო ხომ არ უნდა ვიყო ბოძადა?!

ეს დიალოგი მეხსიერებაში სამარადამოდ ჩაებეჭდა პარმენს, თუმცა ოდესღაც კი არა, შარშან, ზუსტად ამ დროს მოისმინა მატარებელში.

საუბრის წამომწყები აღმოჩნდა მიხეილ ველიჯანაშვილი, ხანში შესული ინჟინერი, ხიზაბავრის მეისტორიე, მშვენიერი წიგნის ავტორი, ხოლო მეორე — მისი ძირძველი თანასოფლელი.

პარმენმა ზურგი აქცია მტკვარს და მტვრიანი ბილიკით აღმართს აუყვა. იქ უნივერსიტეტელთა მიერ შარშან აღდგენილ ტერასებზე ნერგი ხარობდა. ცოტა მოშორებით, მადლიანი მესხეთის მზის ქვეშ ახალ ტერასებს აშენებდნენ სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები.

ტერასა, დარეჯ ანუ, როგორც ბრძენი საბა იტყოდა, ოროკო, „მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული“, ამშვენებდა მტკვრის ზემო წელს. აქ ხარობდა ვაზი, ხილი, ბაღჩეული.

ხოლო ამ ადგილზე ხალხს უთქვამს:

„ხიზაბავრა — ქარიანი,
დარნები აქვს კარიანი,
წინ მინდორი და უკან ტყე,
ღვინო იცის გვარიანი!“

შემდეგ განუწყვეტელ თარეშს, მტერს — შინაურს თუ გარეშეს, აუოხრებია დარნები, ჩამოუსხია კარები, გადაუწვავს მინდორი, დაუქცევია ღვინო, ქარისა და ამ ლექსის ამარა დარჩენილა ხიზაბავრა.

„მე დავწვი მათი მშვენიერი სადგომები, მე ავჩეხე მათი ხეხილის ბაღები და ურიცხვი ვენახები, მე ბოლო მოვუღე მთელს მათს სასმელს, უდაბნოდ ვაქციე ეს ქვეყანა“, იკვეხნის კიდეც ერთი მტერთათვანი, მეფე სარგონი, მესხეთის ამაოხრებელი...

„ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი შესაძლებლობა, ყოველი გოჯი მიწა უნდა გამოვიყენოთ... ხდება ხოლმე, მიდიხარ მატარებლით, სარკმელში კი აქაიქ გაიელვებს დასარეველიანებული ნაკვეთები, რომლებიც შეუვიძლია დავამუშავოთ, ბალახი დავთესოთ, პირუტყვი მოვაშენოთ“ — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი „უყამრის“ ამ სტრიქონებში ჩრდილოეთს გულისხმობს. სამწუხაროდ, მსგავსი სურათები სამხრეთში, კერძოდ, ჩვენს მშობლიურ საქართველოშიც იშვიათი როდია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიაში აღრიცხულია 200.000 ტოპონიმი, აქედან ათი ათასი, თუ მეტი არა, ნათი ნაწარმოები სახელია: ნა-ვენახარი, ნა-ტყეევარი, ნა-დარბაზეული, ნა-ციხარი, ნა-ხიდარი, ნა-წისქვილარი, ნა-სოფლარი, ნა-დაბარი, ნა-ქალაქეული...

ეს წარსულის მაწარმოებელი ნა მიუთითებს, რომ აქ ოდესღაც არსებობდა ის, რაც ტერმინშია ასახული, ანუ ვენახი, ტყე, დარბაზი, ციხე, ხიდი, წისქვილი, სოფელი, დაბა, ქალაქი.

და ეს მაშინ, როდესაც ამ ადგილას მათი არსებობის ნიშან-წყალიც აღარ ჩანს. „მაგალითად, ყინწვალში, — ამბობს მწერალი გივი ხორნაული, — შემოგვრჩა ტერმინი ნაქალაქარი, ადგილობრივ მცხოვრებთ კი უკვირთ, დაბადან მოშორებულ, ტყეველიან ადგილს ასეთი სახელი რატომ ჰქვიაო. დაინტერესდნენ არქეოლოგები და... მიწით დაფარული საძირკვლები აღმოჩნდა“.

„მარტო ასპინძის რაიონში, რუსთაველის მშობლიურ მხარეში 120 ნასოფლარია“, — განაგრძობს სერგი მელიქიძე, უნივერსიტეტის ექსპედიცია „ტაოსკარის“ ხელმძღვანელი.

აქედან ერთ-ერთს, ზემო ვარძიას, გამოუჩნდა აღმშენებელი— ბაგრატ დევნოსაძე.

მრავლდება იმათი რიცხვი, ვისაც მამა-პაპათა ნაფუძარზე მიუხარიან!

ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილებმა, თუნდაც სამასმა არაგველმა, „აქამამდე მოგვიტანეს ეს საქართველო“.

ახლა ჩვენ ვართ ამირანის შემდეგ მეათასე, ფარნაოს შემდეგ მეასე, ივანე ჯავახიშვილის შემდეგი თაობა.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარდა თავისი უშუალო ამოცანის სამსახურისა, იღებდა, იღებს და ყოველთვის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ აღმშენებლობაში, ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ“, — ამბობდა დიდი ივანე ჯავახიშვილი.

ამ მოწოდების ერთგული იყო და არის უნივერსიტეტი; ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო და, რა თქმა უნდა, მისი თავმჯდომარე პარმენ მარგველაშვილი.

ძიების პროცესში საბჭომ მიაგნო მუშაობის ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეში მეცნიერთა ფართო წრეების ჩაბმისა და ამასთან ერთად სტუდენტებთან მათი კონტაქტის განმტკიცების საშუალებას იძლევა.

ახალგაზრდა მეცნიერთა ყოველ თაოსნობას მხარს უჭერენ რექტორატი, პარტიული კომიტეტი და კომკავშირი.

პირველი, რასაც უნივერსიტეტელმა ახალგაზრდებმა მეათე ხუთწლედში მოჰკიდეს ხელი, მთიანი და დაშორებული რაიონების პრობლემათა შესწავლაა და განა მარტო შესწავლა, რამდენიმე კონკურეტული, სანაქებო საქმეც ითავეს; თუნდაც სამცხე-ჯავახეთის ძველი ტერასების გაცოცხლება.

— **როგორ** აშენებთ? — ამ კითხვის პასუხი პარმენ მარგველაშვილს მუდამ მზად აქვს, რა... გან ყველაფერი მისი უშუალ... ძალისხმევით კეთდება.

— ტერასების მშენებლობა... აქვს თავისი სპეციფიკა, სპირ... ... ...

გვესაუბრება აკადემიკოსი ნ. ბლოხინი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე



მშვიდობისათვის მებრძოლნი

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი და უდიდესი პრობლემა, რომელიც საზოგადოებრივი პროგრესის პერსპექტივებს, თვით ცივილიზაციის ბედს განსაზღვრავს, მშვიდობის განმტკიცების პრობლემაა.

საბჭოთა ხალხი განუზრელად და წარმატებით ასრულებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას, რომელიც პარტიის XXV ყრილობამ მოიწონა.

„ჩვენი მიზანია მტკიცე მშვიდობა და უშიშროება საბჭოთა ხალხისათვის, მტკიცე მშვიდობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს შორის. და ამ მიზნის მისაღწევად ვიბრძოლებთ დაუცხრომლად, ძალ-ონისა და ენერგიის დაუზოგავად“, — ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, დაძაბულობის შენელებისა თვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის დიდად ბრძოლას თავისი გამოჩენილი პიროვნებანი ჰყავს. მათი დამსახურების დიდი აღიარებაა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა.

საერთაშორისო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელიც შედგება საბჭოთა და საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებისაგან, 1977–1978 წლების პრემიის ლაურეატთა წოდება მიენიჭა მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლთა ჯგუფს. ამ ჯგუფში შედიან: ცნობილი ანტიფაშისტი, გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი კურტ ბაჰმანი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტი ფრიდა ბრაუნი (ავსტრალია), ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე ანჯელა დევისი, ინდოეთ–საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების თავმჯდომარე კ. პ. შ. მენონი, არქიტექტორი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის ვიცე-მარშალი გალინა სკიბნევსკაია, კუბის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ვილმა ესპინ გილიოისი.

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით ჩვენმა კომიტეტმა საპატიო პრემია მიანიჭა გერმანელთა კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ვეტერანს, ნაციზმის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლს **კურტ ბაჰმანს.**

1969 წელს კურტ ბაჰმანი აირჩიეს გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარედ. 1973 წლიდან იგი გერმანელთა კომპარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრია.

„ჩვენს ხალხს, — თქვა კურტ ბაჰმანმა, — როგორც არც ერთ სხვა ხალხს, ყველა საფუძველი აქვს ახსოვდეს წარსულის გაკვეთილები“.

მშრომელი ავსტრალიელის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა **ფრიდა ბრაუნი.** დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი წლებიდანვე იგი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

ანჯელა დევისს ყველგან იცნობენ მსოფლიოში. ალაბამის, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე რასისტული შტატის მკვიდრ ზანგ ქალიშვილს ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ საშუალება მისცა ეწყვალა სორბონის უნივერსიტეტში და გამზდარიყო ფილოსოფიის მასწავლებელი კალიფორნიის უნივერსიტეტში. ანჯელა დევისი განაგრძობს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

კ. პ. შ. მენონი ცნობილია როგორც ჯ. ნერუს ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი მიუმხრობლობისა და ხალხთა შორის მშვიდობისათვის ინდოეთის ანტიიმპერიალისტური საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებაში.

კეთილშობილურ საქმეს — კაცობრიობის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფას ახმარს თავის ნიჭს პოლონეთსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი არქიტექტორი გალინა სკიბნევსკაია.

ვილმა ესპინ გილიოისი, როცა კუბის ორიენტეს პროვინციაში რევოლუციური ორგანიზაციის „26 ივლისის მოძრაობის“ კოორდინატორი იყო, მონაწილეობდა ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ იატაკქვეშა ბრძოლაში. ექვსი ახალი სახელი შეემატა საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატთა სახელოვან კოჰორტას. იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ამ სპატიო წოდებას ატარებენ, ორიან სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერები, მეცნიერების, კულტურის რელიგიის წარმომადგენლები. მათ კი ყველას აერთიანებს ერთი საერთო საქმე — მშვიდობის საქმისა და სოციალური პროგრესის თავდადებული სამსახური. (საკდესი).

სურათებზე: „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის — საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატები კურტ ბაჰმანი, ფრიდა ბრაუნი, ანჯელა დევისი, კ. პ. შ. მენონი, გალინა სკრიბნევსკაია, ვილმე ესპინ გილიოისი.

ბანთიადისას გენერალ ვეტცელის ოთხმა დივიზიამ კვლავ განაახლა იერიში. გენერალს ნაბრძანები ჰქონდა, რადაც უნდა დაჯდომოდა ჰიტლერის დაბადების დღისათვის გაენადგურება მცირე მიწის დესანტი. მტრის შეტევა ძლიერი და ელვისებური იყო. გერმანიის ჯარებმა რამდენიმე ადგილას გაარღვიეს მე-8 და 51-ე ბრიგადების პოზიციები და მათ განლაგებაში შეიჭრნენ.

მე-18 არმიის სარდალმა კონსტანტინე ლესელიძემ და პოლიტგანყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა ლეონიდ ბრეჟნევმა იცოდნენ, რომ მტერი იერიშს სწორედ ამ გარღვევის უბნებზე განაგითარებდა. ასეთივე ცნობა მიიღეს მცირე მიწის სადესანტო ჯარების სარდლის, გენერალ გეორგინისაგანაც. კონსტანტინე ლესელიძე და ლეონიდ ბრეჟნევი ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზის კონტრ-ადმირალ ხოლოსტიაკოვთან ერთად იმავე საღამოს გაემგზავრნენ მცირე მიწაზე.

მათი კატარღა ნაპირს რომ მიუახლოდა, შუადამე გადასული იყო. ზღვას წყვდიადი აწვა. როგორც ყოველთვის აპრილში, ახლაც ღელავდა ზღვა, ბობოქრობდა. გერმანელებმა ზათქში და შხუილში მაინც გაიგონეს ძრავის ხმა. გამანათებელი რაკეტებით ააბრიალეს წყვდიადი. დაინახეს, როგორ ისროდა აქეთ-იქით მძვინვარე ზვირთები კატარღას და რამდენიმე ქვემეხიდან დაუშინეს ჭურვები.

კაპიტანი ამაოდ ცდილობდა, ცეცხლის არედან გაეყვანა კატარღა, მაგრამ ზვირთები გაშმაგებით ასკდებოდა ბორტებს, გადადიოდა ბაქანზე. სარდალმა კაპიტანს უბრძანა, დაეცადა ქვემეხების ცეცხლის შეწყვეტამდე და მერე განეგრძო გზა ნაპირისაკენ.

როგორც კი მტერმა სროლა შეწყვიტა, კატარღა სწრაფად გაიჭრა მისადგომისაკენ.

სარდალი, პოლიტგანყოფილების უფროსი და კონტრ-ადმირალი თანმხლებ და დამხვედრ ოფიცრებთან ერთად ნელა აყვნენ კლდეში ღრმად გამოჭრილ ბილიკს. ყველას ეგონა, ლესელიძე, ბრეჟნევი და ხოლოსტიაკოვი საკომანდო პუნქტზე ავიდოდნენ. იქ ელოდნენ ბრიგადიანს და დივიზიების მეთაურები, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჯერ 51-ე ბრიგადის ნინა ხაზზე მისულიყვნენ.

იქ ჭირდა ყველაზე მეტად. იმ ველზე იყო ყველაზე დიდი ჯოჯოხეთი და სისხლისღვრა. იმ ველზე მოჰქონდათ შეუჩერებელი იერიშები ჰიტლერელთა დივიზიებს.

რამდენიმე იერიშის შემდეგ 51-ე ბრიგადამ, როგორც იქნა შეაჩერა მტრის გაადფთრებული შემოტევა, ზოგან უკანაც დაახევინა და იერიშზე თვითონ გადავიდა.

მარჯვენა ფლანგზე ფაშისტები თავგანწირვით იცავდნენ თავიანთ პოზიციებს, რათა მათ უკან ამარრული გორაკები შეენარჩუნებინათ. გორაკები სიკვდილის ველს დასცქეროდა და დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელებისათვის.

მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, მარჯვენა ფლანგზე გერმანელებს ახალი სატანკო ნაწილები მოუვიდათ და მძლავრი შეტევისათვის ემზადებიანო. დიდი დანაკარგით შესუსტებული ბრიგადა ვერ გაუმკლავდებოდა სატანკო ნაწილებით გაძლიერებულ მტერს. ლესელიძის ბრძანებით მარჯვენა ფლანგი ნაკრები ბატალიონებით შეავსეს. ის ბატალიონები ჰიტლერელებს შეტევაზე გადმოსვლის პირველი საათებიდანვე შეხვდნენ, მათ მიიღეს თავიანთ მკერდზე მტრის გრიგალისებური დარტყმა და რამდენიმე დღე აკავებდნენ. მათვე დაახევინეს უკან იმ ზოგ ადგილზე, მაგრამ თითქმის განაგრძრნენ. ახლა ნაკრები ამიტომ იყვნენ ეს ბატალიონები, რომ სხვადასხვა ქვეგანყოფის ჯარისკაცებით იყვნენ შევსებული.

სარდალი, პოლიტგანყოფილების უფროსი და კონტრ-ადმირალი ერთ-ერთ ნაკრებ ბატალიონში რომ მივიდნენ, გათენებული იყო. აქედან ელოდნენ ტანკების იერიშს. ჯარისკაცები ტანკსაწინააღმდეგო თხრილების გაჭრას ამთავრებდნენ. დაღლილები, ქანცგაწყვეტილები იყვნენ, თითქმის ყველა დაჭრილი და ავადმყოფი. სულის მოთქმა, ჭრილობის შეხვევა არ აცალეს. ხელპირის დაბანა, გაპარსვა, ჭამა არ აცალეს. უღონოდ ურტყამდნენ წერაქვს მიწას.

კონსტანტინე ლესელიძეს სინდისი ქენჯნიდა. ბრძოლიდან გამოსულ ჯარისკაცებს, იმის მაგივრად, რომ სასწრაფო დახმარება აღმოჩენოდათ, დაესვენათ და ეჭამათ, კვლავ ბრძოლაში აგზავნიდა. მაგრამ სინდისის ქენჯნას, ჯავრსა და წუხილს არავის აგრძნობინებდა. შუბლშეკრული იყო, ჩვეულებრივზე უფრო მკაცრი, ცივი, სიტყვაძვირი.

პოლიტგანყოფილების უფროსი გრძნობდა, რა მძიმე ჯავრი ედგა სარდალს გულში. იცოდა, რომ იგი მამასავით ზრუნავდა ყოველ ჯარისკაცზე და ოფიცერზე. იცოდა, რა გულკეთილი, თავაზიანი და მგრძნობიარე იყო ბუნებით. რა დიდი ნებისყოფა უნდა ჰქონოდა ასეთ ადამიანს, ასე მკაცრად, გულგრილად რომ ეჭირა თავი.

სარდალს არ მოეწონა თხრილები. ერთ-ერთ ჯარისკაცთან შეჩერდა.

— შენ რა, ძვირფასო, ამ მიწას ტანკსაწინააღმდეგო თხრილისათვის ჭრი, თუ ალუმების ნერგის დასარგავად? — ლესელიძემ იცნო, რომ ჯარისკაცი უკრაინელი იყო და ამიტომ უთხრა ალუბლის ნერგის დასარგავად.

— ალუბალი ვის ახსოვს ახლა, ამხანაგო სარდალო, — ჯარისკაცი ძლივს იდგა ფეხზე, სული კბილით ეჭირა. ახალგაზრდა იყო, შავთვალნარბა, კაფანდარა, წელში მოხრილს ოფლი ასკდებოდა გამხდარ სახეზე. — ქვასავითაა ეს ტიალი.

— ტიალიო, — უთხრა ჯარისკაცს ლეონიდ ბრეჟნევმა. — ჩვენ კი თავს ვიკლავთ ამ ტიალი მიწისათვის.

— /სწორედ იმიტომ ვუთხარი ტიალიო, რომ თავს ვიკლავთ მისთვის, — მიუგო ჯარისკაცმა. — გულგარეთ დავწყვევლე.

— ყოჩაღ, — მოუწონა ბრეჟნევმა ჯარისკაცს პასუხი და მეზობელ ტანკსაწინააღმდეგო თხრილში ჩაიხედა.

იქიდან ამოსული მებრძოლი წერაქვით ხელში ნაპირზე იდგა. თავ-პირი ბანდიით ჰქონდა შეხვეული, თვალმოჭუტული უყურებდა სარდალს. ეტყობოდა, გამოცნაურებას ვერ უბედავდა.

ლესელიძე დააკვირდა მებრძოლს, მაგრამ ვერ იცნო.

— ასე ღრმად უნდა თხაროთ ყველამ. ამ უფროსი სერჟანტის მინა და შენი მინა ერთნაირია. ის როგორა თხრის ასე ღრმად? — ჰკითხა უკრაინელ ჯარისკაცს.

— მინა კია ერთნაირი, ამხანაგო პოლიტგანყოფილების უფროსო, — უთხრა ჯარისკაცმა, — მაგრამ ამას ეს თხრის, იმას მე.

—მერე?

— მე მიწა არასოდეს არ გამითხრია. შთამომავლობით მეფოლადე ვარ. უფროსი სერჟანტი კი ომამდე არხს თხრიდა.

— არხს თხრიდაო, რომ გაიგონა სარდალმა, უცებ იცნო, ვინ იყო უფროსი სერჟანტი. ახლა ის დაწითლებული, მოჭუტული თვალებით შეჰყურებდა, მაგრამ მაინც იცნო ღიმილით. უფროსი სერჟანტი დივიზიაში ჯარისკაცად მოსვლის დღიდან ასეთი ღიმილით შეჰყურებდა ხოლმე.

— შენ უჩა შამუგია არა ხარ, ბიჭო? — ჰკითხა კონსტანტინე ლესელიძემ.

— შამუგია გახლავართ, ამხანაგო სარდალო, — უთხრა უფროსმა სერჟანტმა და მოჭუტული თვალები სიამაყით გაახილა: თვით სარდალი გამოელაპარაკა მას, ბიჭოო, უთხრა. ბიჭოს რომ ეუბნებოდა კონსტანტინე ლესელიძე ახალგაზრდა ჯარისკაცებს, ამ სიტყვაში შვილოს გულისხმობდა. ეს იცოდა, უფროსმა სერჟანტმა.

— ისევ თავში დაიჭერი?

— თავში არა, ამხანაგო სარდალო. სახეში მომხვდა ის ოხერი.

—მოსკოვთან ბრძოლებში თავში მოგხვდა, აქ სახეში. მეორედ გადარჩენილხარ ბეწვზე.

— არ ვიცი, ვისი ტყვია იყო მოსკოვთან, ვისი ტყვია მომხვდა აქ, მაგრამ ერთი კია— კარგად ისვრიან ის მამაძაღლები. იციან, სად უნდა მოარტყან.

— თქვენთან იბრძოდა უფროსი სერჟანტი, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ? — ჰკითხა სარდალს კონტრ-ადმირალმა ხოლოსტიაკოვმა, საშუალო ტანის, მტკიცედ ჩასხმულმა კაცმა.

— მოსკოთან ბრძოლებში, შა. მუგია რიგითი იყო, როსტოვთან სერჟანტი, კავკასიის უღელტეხილზე უფროსი სერჟანტი, — უთხრა კონსტანტინე ლესელიძემ კონტრ-ადმირალს და ბრეჟნევს მიუბრუნდა: — ჰო, იცის შამუგიამ მიწის თხრა. ჭაობს სტაცებდა მიწას. არხი გაჰყავდა.

ბრეჟნევმა დაინახა, შამუგიასთან მდგარი მედიცინის სამსახურის უფროსი ლეიტენანტი შეწუხებული შეჰყურებდა მის გასისხლიანებულ ბანდს. უფროსი სერჟანტი ძლივს იმაგრებდა თავს, რომ ფეხზე შემაგრებულიყო, ტკივილი არ შეემჩნია სარდალს.

— სწუხართ, ექიმო, ასეთი დაჭრილები რომ გაგვყავს ბრძოლაში?

— ალბათ სხვა გამოსავალი არ არის, — კიდევ უფრო შეწუხდა ექიმი. გიმნასტიორა კოხტად ედგა ტანზე და ქამარი ვიწროდ ერტყა წელზე. შავი, გრუზა თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი. თეთრ სახეზე მღელვარებისაგან ფერი არ ედო.

— არა გვაქვს სხვა გამოსავალი, — უთხრა ბრეჟნევმა. — ახლა ისე გვიჭირს, მკვდრებს რომ შეეძლოთ, ისინიც გავიდოდნენ ბრძოლაში.

— ასე გვიჭირს, ამხანაგო პოლიტგანყოფილების უფროსო?!— თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა ექიმმა.

— გვიჭირს, — უთხრა ბრეჟნევმა, — და რახან ასეთი დაჭრილები კვლავ ბრძოლაში შედიან, არა გვაქვს ცუდად საქმე. შამუგიასთანა ჯარისკაცები არ წააგებენ ომს. რას იტყვით, უფროსო სერჟანტო? აი, ეს ახალგაზრდა ქალი, წესით ჰოსპიტალში უნდა მუშაობდეს, ან უკიდურეს შემთხვევაში, მედსანბატში, მაგრამ წინა ხაზზეა, ყველაზე ძნელ უბანზე, თქვენ გიდგათ მხარში. მას ჯერ ტუჩზე რძე არ შეშრობია, არ გეშინიათ, ექიმო?!

ექიმი შეყოყმანდა.

— ვერ დაგიმალავთ... მეშინია, — უთხრა უფროსმა ლეიტენანტმა და სახე წამოენთო.

— და მაინც წინა ხაზზე ხართ?!

—ამათთვისა ვარ. მაგათი ჯავრი მაქვს.

— დიახ, დიახ, მაგათი ჯავრი გაქვთ. თქვენ მამაცი ქალი ხართ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო.

— ისინი მაძლევენ მაგალითს, ამხანაგო ლეონიდ ილიჩ, — შეხედა ექიმმა შამუგიას და სხვა დაჭრილებს.

— ერთმანეთს აძლევთ მაგალითს, ამხანაგო გოთუა,—უთხრა სარდალმა. — თქვენ თამარი გქვიათ არა?

— თამარი ვარ, ბატონო კონსტანტინე, — ახლა ექიმს დაეუფლა სიამაყის ის გრძნობა, ნელან უჩა შამუგიამ რომ იგრძნო.

— სიმამაცის მაგალითი დიდი ძალაა, თამარ. არა, შამუგია? — მიუბრუნდა სარდალი უფროსს სერჟანტს.

— ასე გახლავთ, ამხანაგო სარდალო.

— შენ არ უპასუხე ამხანაგ ბრეჟნევის შეკითხვას: ასეთი ჯარისკაცები არ წააგებენ ომსო, გკითხა მან.

— არ დავანებებთ მიწას მტერს, ამხანაგო პოლიტგანყოფილების უფროსო. მე ყოველი მტკაველი მიწისათვის ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ვიბრძოდი. ვიცი მიწის ფასი, — ზღვაური სცემდა სახეში, მარილიანი, ცივი ქარი უნავადა დაწითლებულ თვალებს.

— ყოველი მტკაველისათვის იბრძოდით. გცოდნიათ მიწის ფასი. ასეთ კაცს მედსანბატში ვერ გააჩერებ, ამხანაგო გოთუა, — უთხრა ბრეჟნევმა უფროსს ლეიტენანტს.

— შამუგია მიწას სტაცებდა კოლხეთის ჭაობებს, ლეონიდ ილიჩ, — თქვა კონსტანტინე ლესელიძემ.

— კოლხეთის? — წამით დაფიქრდა ბრეჟნევი. — იმ მიწის, საიდანაც არგონავტებმა ოქროს საწმისი მოსტაცეს ხელმწიფე აეტს.

— დიახ, ამხანაგო პოლიტგანყოფილების უფროსო, — გაუხარდა უჩა შამუგიას. — ომამდეც ერთიანი ძალით ვუტევდით კოლხეთის ჭაობებს ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბელორუსები. საქმე სწრაფად მიდიოდა წინ.

— დაბრუნდებით ომის დამთავრების შემდეგ შინ, და უფრო დიდი ძალით შეუტევთ, — უთხრა ლეონიდ ბრეჟნევმა. — კოლხეთში ალბათ, განსაკუთრებული მიწაა. ტყვიულად კი არ აქებდნენ ძველი ბერძნები, — პოლიტგანყოფილების უფროსმა სარდალს შეხედა: — კონსტანტინ ნიკოლაევიჩ, მგონი თქვენ კოლხი ხართ.

— კოლხი ვარ, — უთხრა ლესელიძემ, — ბევრია კოლხეთის ზღვისპირეთში შამუგიასთანა უცოლო ბიჭები.

— არც პოლესიის ჭაობებში მცხოვრებ ბიჭებს ატანენ ქალს, — თქვა ბრეჟნევმა.

— ჩემთან ერთი პოლესიელი მუშაობდა დრაგერად, გვარად ბაჩილო. იმასაც არ ატანდნენ ქალს, — შუბლი შეეკრა შამუგიას, სევდა ჩაუდგა თვალში.— საქართველოში ბაჩილოს საცოლე დარჩა. ვეღარ დაბრუნდება ის ბიჭი.

— რატომ ვერ დაბრუნდება. დაიღუპა?

— მძიმედ დაიჭრა მარუხის უღელტეხილზე. მედსანბატში გავგზავნე... ერთი ძუძუ არ გვიწოვია, მაგრამ მაინც ძმასავით მიყვარდა.

— მედსანბატის ნომერი იცით?

— ათას შვიდასი გახლავთ.

ლეონიდ ბრეჟნევი უკან მდგარ თავის ადიუტანტს მიუბრუნდა:

— ჩაიწერეთ მედსანბატის ნომერი, კრავჩუკ. ბაჩილოს სახელი და მამის სახელი. ვეცდებით ვიპოვოთ თქვენი ძმობილი.

უჩა-შამუგიას რაღაცის თქმა უნდოდა სარდლისათვის და ვერ ბედავდა.

— რა გინდა, ბიჭო? — ჰკითხა სარდალმა. — მითხარი, რისი გერიდება.

— საყვედური მინდა გითხრათ და მერიდება.

— საყვედური?!

— არ გვეკითხებით, რატომ გაგვარეგვიეს... ტყვია არ გვყოფნიდა, გამოზოგვით ვისროდით, ამხანაგო სარდალო. ტანკები კი მოდიოდა და მოდიოდა.

— ასე იყო, ბიჭო, მაშინაც, მოსკოვს რომ ვიცავდით. იქაც გამოზოგვით ვისროდით.

— იქ მოსკოვი იყო, სარდალო, — უთხრა უჩამ და მაშინვე ინანა. მიხვდა, მცირე მიწის დაცვით, ახლა მოსკოვსაც რომ იცავდა. მაინც საყვედურით განაგრძო: — საკმარისი ტყვიაწამალი რომ გვქონოდა, ვერ გაგვარეგვევდნენ. ორ ტანკს ერთი ტყვიით ვერ დაეზიანებ.

— ჰო, ორ ტანკს ერთი ტყვიით ვერ დაეზიანებ. ტყვია-წამალი ახლა თავსაყრელი გვაქვს. რამდენი დატვირთული გემი ჩაგვიძირეს ფრიცებმა. მოვიტანთ ტყვია-წამალს. ცოტა კიდევ უნდა გავიჭირვოთ.

— გავიჭირვებთ, — უთხრა უჩა შამუგიამ და დაინახა, როგორ უჭირდა ამის თქმა სარდალს, დაინახა მისი ჯავრიანი სახე, დაღლილი თვალები და გაუცინა: — გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო, ამხანაგო სარდალო.

— რაო?! — ერთხმად იკითხეს პოლიტგანყოფილების უფროსმა და კონტრ-ადმირალმა.

სარდალმა აუხსნა ანდაზის მნიშვნელობა. ბრეჟნევმა და ხოლოსტიაკოვმა გულიანად გადაიხარხარეს.

— გამოზოგვით სროლითაც ასროლინებთ მტერს კუდით ქვას? — მადლიანი თვალებით შეჰყურებდა ლეონიდ ბრეჟნევი უჩა შამუგიას.

— გამოზოგვითაც.

— ეს სხვა საქმეა, — გაიღიმა სარდალმა და მაღალ შუბლზე სამი ნაოჭი დაადგა.

ნესტანტინე ლესელიძემ პოლიტგანყოფილების უფროსს.

— ოჰო, თქვენ თურმე მართლა მოგიწევთ ბრძოლა ჭაობთან. არც იქ გექნებათ უკან დასახევი ადგილი. მაგარი ბრძოლა გელით და არა მარტო თქვენ. ჩვენს ქვეყანაში ბევრს არ ჰყოფნის მიწა. რამდენი ყამირი დევს უქმად —ჭაობი, უდაბნო.

— ჩემი მეორე ნომერი ყაზახია. ალიმბაევი. ბევრი ყამირი ყოფილა მის სამშობლოში, — თქვა უჩა შამუგიამ.

— ყაზახეთში მილიონობით ჰექტარი ყამირია, — უთხრა ლეონიდ ბრეჟნევმა. — ასეა ციმბირშიც. დავამთავრებთ ომსა და ერთიანი ძალით შევუტევთ ჭაობსა და უდაბნოს.

— ერთიანი ძალით, ამხანაგო პოლიტგანყოფილების უფროსო, რომ მალე ავითვისოთ მიწა, — გაუხარდა უჩა შამუგიას. — ომამდეც ერთიანი ძალით ვუტევდით კოლხეთის ჭაობებს ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბელორუსები. საქმე სწრაფად მიდიოდა წინ.

— დაბრუნდებით ომის დამთავრების შემდეგ შინ, და უფრო დიდი ძალით შეუტევთ, — უთხრა ლეონიდ ბრეჟნევმა. — კოლხეთში ალბათ, განსაკუთრებული მიწაა. ტყვიულად კი არ აქებდნენ ძველი ბერძნები, — პოლიტგანყოფილების უფროსმა სარდალს შეხედა: — კონსტანტინ ნიკოლაევიჩ, მგონი თქვენ კოლხი ხართ.

— კოლხი ვარ, — უთხრა ლესელიძემ, — ბევრია კოლხეთის ზღვისპირეთში შამუგიასთანა უცოლო ბიჭები.

— არც პოლესიის ჭაობებში მცხოვრებ ბიჭებს ატანენ ქალს, — თქვა ბრეჟნევმა.

— ჩემთან ერთი პოლესიელი მუშაობდა დრაგერად, გვარად ბაჩილო. იმასაც არ ატანდნენ ქალს, — შუბლი შეეკრა შამუგიას, სევდა ჩაუდგა თვალში.— საქართველოში ბაჩილოს საცოლე დარჩა. ვეღარ დაბრუნდება ის ბიჭი.

— რატომ ვერ დაბრუნდება. დაიღუპა?

— მძიმედ დაიჭრა მარუხის უღელტეხილზე. მედსანბატში გავგზავნე... ერთი ძუძუ არ გვიწოვია, მაგრამ მაინც ძმასავით მიყვარდა.

— მედსანბატის ნომერი იცით?

— ათას შვიდასი გახლავთ.

ლეონიდ ბრეჟნევი უკან მდგარ თავის ადიუტანტს მიუბრუნდა:

— ჩაიწერეთ მედსანბატის ნომერი, კრავჩუკ. ბაჩილოს სახელი და მამის სახელი. ვეცდებით ვიპოვოთ თქვენი ძმობილი.

უჩა-შამუგიას რაღაცის თქმა უნდოდა სარდლისათვის და ვერ ბედავდა.

— რა გინდა, ბიჭო? — ჰკითხა სარდალმა. — მითხარი, რისი გერიდება.

— საყვედური მინდა გითხრათ და მერიდება.

— საყვედური?!

— არ გვეკითხებით, რატომ გაგვარეგვიეს... ტყვია არ გვყოფნიდა, გამოზოგვით ვისროდით, ამხანაგო სარდალო. ტანკები კი მოდიოდა და მოდიოდა.

— ასე იყო, ბიჭო, მაშინაც, მოსკოვს რომ ვიცავდით. იქაც გამოზოგვით ვისროდით.

— იქ მოსკოვი იყო, სარდალო, — უთხრა უჩამ და მაშინვე ინანა. მიხვდა, მცირე მიწის დაცვით, ახლა მოსკოვსაც რომ იცავდა. მაინც საყვედურით განაგრძო: — საკმარისი ტყვიაწამალი რომ გვქონოდა, ვერ გაგვარეგვევდნენ. ორ ტანკს ერთი ტყვიით ვერ დაეზიანებ.

— ჰო, ორ ტანკს ერთი ტყვიით ვერ დაეზიანებ. ტყვია-წამალი ახლა თავსაყრელი გვაქვს. რამდენი დატვირთული გემი ჩაგვიძირეს ფრიცებმა. მოვიტანთ ტყვია-წამალს. ცოტა კიდევ უნდა გავიჭირვოთ.

— გავიჭირვებთ, — უთხრა უჩა შამუგიამ და დაინახა, როგორ უჭირდა ამის თქმა სარდალს, დაინახა მისი ჯავრიანი სახე, დაღლილი თვალები და გაუცინა: — გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო, ამხანაგო სარდალო.

— რაო?! — ერთხმად იკითხეს პოლიტგანყოფილების უფროსმა და კონტრ-ადმირალმა.

სარდალმა აუხსნა ანდაზის მნიშვნელობა. ბრეჟნევმა და ხოლოსტიაკოვმა გულიანად გადაიხარხარეს.

— გამოზოგვით სროლითაც ასროლინებთ მტერს კუდით ქვას? — მადლიანი თვალებით შეჰყურებდა ლეონიდ ბრეჟნევი უჩა შამუგიას.

— გამოზოგვითაც.

— ეს სხვა საქმეა, — გაიღიმა სარდალმა და მაღალ შუბლზე სამი ნაოჭი დაადგა.

ახალი ლექსები

რიმა კაზაკოვა

(მოსკოვი)

ჯვარი

გზა
ჯვრის მონასტრისაკენ
გაილია ხელადა, —
წმინდა იყო სიჩუმე,
მთებზე თოვლი ელავდა.

მოლი გაუთელავი
ადგა, როგორც ყველდრება.
მეჩვენება —
მიიწევს
და ცას კვამლად ედება.

მონასტერი ზვიადი,
უძველესი,
ქებული,
მრავალგზის რომ
ეწამა —
იმით დამუნჯებული.

მაგრამ უცებ...
ტაძარში
შევაბიჯეთ როდესაც —
უჩინარი გუნდისა
გალობანი მოგვესმა.

იყო მკაცრი სავანე
ლამის ცამდე ასული.
ჟღერდა ხმები
მხედრული,
ნაღდი,
მამაკაცური.

ქვემოთ —
წყალშესაყართან
ვარდისფრობად ყოველი,
თავით ზეცას ბურღავდა
ჩუმი სვეტიცხოველი.

ირგვლივ წმინდა სიჩუმე.
მთებზე —
თოვლში ქარები.
ნათლით იმოსებოდა
ჯვარის შემოგარენი.

და იმ წამში ვიწამე
შუქი მარადიული:
ვაუკაცობა,
სინაზე —
მიწიერიც, ციურიც.

თარგმნა **ა. ბურგენიძემ.**

სხარტულა

დალოცვილო, გზა სხვამ აგირჩია და შენით სიარულიც ველარ უნდა შეიძლო?!

ბედნიერება, ალბათ, უპასუხო კითხვაზე პასუხის გაცემაა.

თუნდაც არ დაგჭირდეს, სირცხვილის მათრახი მაინც თავქვეშ უნდა გედოს.

საკითხი თუ მომწიფდა, ჩამოვარდნამდე უნდა განიხილო.

საკუთარ თავს რომ დაადგები თაგზე, — ბიბობა ისაა!

წერტილი კითხვის ნიშანსაც სჭირდება.

ზ. კაციაშვილი.

პაპიროსი აკრძალეს და კიბომ, არიქა, მიშველეთო!

მანქანამ შეუტია მწველს — შენი გამონაბოლქვით საკუთარ ცოლ-შვილსა წამლავ და კიდევ მე მიკიჟინებო?!

ვითომ პაპიროსს გაბუტვიხარ და ვითომ სიკვდილსაო.

მწველმა გაიხსენა — პაპიროსის წევა-ქაჩვას რომ ვეჩვეოდი, ბარემ ყურის წევა-ქაჩვა მერჩივნა, მაგრამ სად იყო პატრონიო.

თუთუნის აკრძალვას მოუმატეს და დაკრძალვამ იკლო.

ექიმო! წევას როგორ გადავეჩვიო, და — დამაცა, შეკი კაცო, ეს პაპიროსი მომამთავებინეო.

ვ. ჯავრიშვილი.

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგრადის ჟურნალიდან

ასე ხვდება მსოფლიო

ჰავანა. კუბელი ხალხი მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს ხვდება ახალი წარმატებებით წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში.

ამ დღეებში ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, რომ საწარმოო კოლექტივები ასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს, რომლებიც 1 მაისის აღსანიშნავად იკისრეს.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან მეტალურგიული კომბინატის „ხოსე მარტის“ ჰავანის კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის ავტოშემკეთებელი ქარხნის, მარიელის „მაქსიმო გომესის“ თბოელექტროსადგურის მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. ძალებს იკრებს სამამული მანქანათმშენებლობის პირმშო ქალაქ ოლგინის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის სახელობის ლ

გეპატიჟებათ

დედაქალაქის კულტურისა და დასვენების პარკები

დღეს, 1 მაისს, ტრადიციულად სეზონს ხსნიან დედაქალაქის კულტურისა და დასვენების პარკები. საგულდაგულოდ მოემზადნენ დამსვენებელთა შესახვედრად მწვანეში ჩაფლული და ყვავილნარებით დამშვენებული თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილები.

წელს ბევრი სიახლე იშვა თბილისის პარკებში. დაირგო ათასობით მარადმწვანე ხე და ბუჩქი, განახლდა საზაფხულო ესტრადები, ატრაქციონები, გაკეთდა ლამაზი, დეკორატიული კუთხეები.

ახალი სეზონის ძირითადი დევიზია „ყველაფერი საუკეთესო—ბავშვებს!“ წლევანდელი წელიწადი ხომ მათ ეძღვნებათ და ამიტომაც ყველგან დიდი მზადება იყო გაჩაღებული, თუ ვინ უფრო საინტერესო გასართობს მოუმზადებდა ჩვენს პატარებს.

და აი, საჩინო ადგილებში დაიდგა ქალაქგაფორმების კომბინატის მიერ დამზადებული ლამაზი, დიდი სტენდები, რომლებზეც აღბეჭდილი არიან ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა ეროვნების ბედნიერი ბავშვები, მათი ნახატები, გასართობები. დაე, მათი ცა მარად უღრუბლო და ბედნიერი იყოს!

დღეს ბევრი თბილისელი ალბათ მიაშურებს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკს ფუნიკულიორის პლატოზე. აქ მათთვის გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა, კონცერტი, დაუკრავს სასულე ორკესტრი. მრავალი სიახლე დახვდებათ ჩვენს პატარებს ბავშვთა მოედნებზე, ძველი ატრაქციონები ახალი გასართობებით შეიცვალა.

ყოველ წელიწადს სულ უფრო მრავალ დამსვენებელს იზიდავს კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ლენინის რაიონში. აქ ბავშვებს ელით ავტოდრომი, სადაც ისინი, სათამაშო მანქანებით სეირნობასთან ერთად, მოძრაობის წესებსაც შეისწავლიან. ასეთივე ავტოდრომი მოეწყო სკოლამდელთათვისაც. პატარებს მრავალი გასართობი ელით მათთვის მოწყობილ ბავშვთა „ქალაქშიც“.

სეზონისათვის კარგად მოემზადა თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკი, კეთილმოეწყო პლაჟი, მრავალი ნარგავი შეემატა პარკში მოწყობილ ახალდაქორწინებულთა ხეივანს, აგრეთვე სკოლაში წარჩინებულ მოსწავლეთა და წვეამდელთა ხეივნებსაც. 2 მაისს პარკში დიდი სეირნობა გაიმართება.

საინტერესო სპორტული შეხვედრები მოელით დამსვენებლებს პარტიზანთა პარკში, სადაც არის სპეციალური მოედანი „ოლიმპიადა-80“.

სახალხო სეირნობა გაიმართება აგრეთვე ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკსა და მეგობრობის პარკში.

ლ. მარსაგიშვილი.

მეშახტეთა ქალაქში

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ციერეკიძე). სარეკონსტრუქციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ სპირელმაისოდ ავლავ მშრომელთა სამსახურში ჩადგა ქალაქის კეთილმოწყობილი კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. აქ გაიხსნა ახალი პავილიონები, მოეწყო ბავშვთა ატრაქციონი და შადრევანი.

სამაისო სიახლემ სილამაზე და ეშხი შემატა მეშახტეთა ქალაქს.

ბ. ლომიძის ნახატი.

პირველი ბერძნული პირველმაისობა მხოლოდ საბერძნეთის მუშათა მოძრაობის ვეტერანთა მეხსიერებასა და საბერძნეთის მშრომელთა მაშინდელი ერთადერთი ყოველდღიური გაზეთის „რიზოსპასტისის“ 1919 წლის რეპორტაჟებში შემორჩა.

მუშათა მოძრაობა ქვეყანაში იმ დროს ისაზრდა ყოველ იკრებდა. 1918 წლის ნოემბერში შეიქმნა საბერძნეთის სოციალისტური მუშათა პარტია (სეკე), მოგვიანებით კომუნისტური პარტია რომ ეწოდა. სეკემ მოუწოდა საბერძნეთის მუშებს აღენიშნათ პირველი მაისი — მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღესასწაული. „პირველი ბერძნული მუშათა მაისობა უნდა ჰქცეს ჩვენი მოძრაობისათვის შემობრუნების ეტაპად, ახალი ცხოვრების დასაწყისად“, — აღნიშნავდა „რიზოსპასტისში“ გამოქვეყნებულ თავის მიმართვაში სეკე.

1919 წლის 1 მაისს დედაქალაქის ომონიის მოედანზე დილადრიან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. თავიანთი პროფკავშირების მოწოდებით მოვიდნენ ელექტრიკოსები, რკინიგზელები, ქალაქის ტრანსპორტისა და რესტორნების მუშაკები... რკინიგზელებს სამუშაო ჯუბები ეცვათ, რომელთა ზურგზე უზარმაზარი ციფრი 8-იანი ეკეთათ (იმ დროს ფართოდ იყო გაჩაღებული ბრძოლა 8-საათიანი სამუშაო დღისათვის).

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ 12 ᲗᲕᲔ

პირველი მაისი — გაზაფხულისა და ღიმილის დღესასწაული, ჟამი ვარდობის დასაწყისისა. შრომის მადლით ხალისიანები და იმედით აღსავსენი შეეგებნენ მას ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

ზეიმია თბილისში, სადღესასწაულო განწყობილებაა.

სურათებზე: რეკონსტრუქციის შემდეგ ასე გამოიყურება რუსთაველის პროსპექტის ეს მონაკვეთი, სადაც სასტუმრო „ივერიას“ მხარი დაუმშვენა ცენტრალური ტელეგრაფის შენობამ და მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი მოედანი; № 1 საკონდიტრო საცხობის კონდიტერ-გამფორმებელი მ. ბოკუჩოვა მის მიერ ნახელავი სამაისო ტორტით; ეს მოცეკვავე ბავშვებიც ხომ გაზაფხულის ყვავილებს ჰგვანან; ახალგაზრდა მებაღეები მ. მოდებაძე და გ. სიმონოვი ყვავილებს რგავენ თბილისის ბიოლოგიური პარკის ფიჭვნარში.

შ. კრიმსკის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და **ს. ქილაძის** („კომუნისტი“) ფოტო.

ᲗᲘᲗᲝ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲐᲛᲕᲚᲔᲚᲡ

ვარდობისთვე დგას საქართველოში, ლამაზად ყელი მოუღერებიათ ვარდის კოკრებს, ალისფერ ბაგეებზე ცვარი არ შეშრობიათ.

1.600.000 მინიჭებული სიხარული — ასეთია თბილისის სანერგე მეურნეობის ყვავილების ჩაბარების წლიური გეგმა. ვარდი, მიხაკი, ფრთათეთრა, ჰერბერა, ნარგიზი, ვეირილა, ქრიზანთემა, ტიტა, ზმალა, ასტრა, ცანია — ათასფერ ხალიჩას მოგაგონებთ სანერგეს ყვავილნარი. ჯერ-ჯერობით ისინი სათბურებში მოჭყავთ, მაგრამ საცაა სანერგეს ღია ტერიტორიაზეც იხარებენ.

სანერგეს 5 საყვავილე უბანი აქვს — სამი იქვე, ერთი ავშნიანში (თბილისის ზღვის ტერიტორიაზე) და ერთიც საქარხნო რაიონში. ძირითადად ვარდი და მიხაკი მოჰყავთ. აქედან ვარდი 22 სახეობისაა. მეყვავილეების განსაკუთრებულ საზრუნავს მიხაკი წარმოადგენს, ორ წელიწადში ერთხელ მას ნიადაგის სრული გამოცვლა სჭირდება.

სანერგის საყვავილეს 54 ჰექტარი მიწა უკავია, აქედან მხოლოდ 25 ჰექტარია ათვისებული. სამუშაოების დიდი ნაწილი ხელით სრულდება, რადგან ფართობის სიმცირის გამო ტექნიკის დანერგვა შეუძლებელია. მაგრამ გავა სულ ცოტა ხანი და სანერგე მეურნეობა ლისის ტბის მიდამოებში გადაინაცვლებს, სადაც იგი 500 ჰექტარ ფართობს დაიკავებს. მაშინ კი ნამდვილად გაიზრდება ყვავილების რიცხვი და თბილისელებიც უფრო მეტად დატკბებიან მათი სიტურფით და კინამოთი.

ზ. ლავთაძე.

ᲓᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲐᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ?

მაისში, რაკი ტრადიციისამებრ იმატებს მზის რადიაცია, თავისთავად მნიშვნელოვნად მაღლა იწევს ტემპერატურა. აპრილთან შედარებით მაისში საშუალო-თვიური ტემპერატურა 4-6 გრადუსით მაღალია, თუმცა ყოფილა წლები, როცა ცალკეულ დაბლობ რაიონებში მაქსიმალური ტემპერატურა 31-36 გრადუსამდე ასულა, ხოლო ცივი ჰაერის მასების შემოჭრის გამო კოლხეთის დაბლობზე ზოგჯერ 4-0 გრადუსამდე დაცემულა, ქართლის ვაკესა და კახეთში კი 4 გრადუს ყინვამდე.

სითბოს მომატება მაისში იწვევს ჰაერის აღმავალი დინების გაძლიერებას და კონვექციური ღრუბლების განვითარებას, რაც განაპირობებს ელჭექის ხასიათის ხშირ წვიმებს.

ჰაერის საშუალო-თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია ძირითადად ნორმის ფარგლებში. თვის უმეტეს დროს რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში ტემპერატურა ღამით იქნება 10-15, დღისით 20-25, ცალკეულ დღეებში კი დაიწევს ღამით 4-9, დღისით 14-19 გრადუსამდე. მთის რაიონებში მოსალოდნელია ღამით 7-12, დღისით 17-22 გრადუსი, თვის ცალკეულ დღეებში დაიწევს 11-16, მაღალ მთის რაიონებში ღამით 2-7, დღისით 13-18, თვის ცალკეულ დღეებში 6-11 გრადუსამდე.

თვის განმავლობაში მოსალოდნელია ელჭექის ხასიათის ხშირი წვიმები, მეორე და მესამე დეკადაში აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში შესაძლებელია სეტყვა.

ნალექების საშუალო-თვიური ჯამი გარე და შიდა კახეთში შეადგენს 180-250 მმ-ს, დანარჩენ რაიონებში კი 90-200 მმ-ს, რაც ტერიტორიის უმეტესი ნაწილისათვის ნორმაზე მეტია.

ვ. კოპლატაძე,
ამინდის ბიუროს უფროსი.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲘ

წელიწადის მეტუთე და გაზაფხულის უკანასკნელი თვის მაისის სახელწოდება მომდინარეობს ძველ რომაელთა ღმერთქალის მაიას სახელიდან. რომაელებმა ძველ ბერძენთა მაია („დედა“) —ატლანტოსისა და პლეიონეს ქალიშვილი, უფროსი პლეადი და მთების ფერია — მიწის ძველ იტალიელთა ღმერთქალ მაიასთან გააიგივეს. ზოგჯერ მაიას ვულკანის მეუღლედ, მიწის ნაყოფის ქალღმერთად მიიჩნევდნენ.

მაიასადმი მიძღვნილ დღესასწაულებში, კერძოდ კი პირველ მაისს მაიასათვის შესაწირავები მიჰქონდათ.

სლავ ტომებში მაისი ვარდ-ყვავილებისა და ბალახის თვედ იყო მიჩნეული. ამერიკელი ინდიელები მას ფოთლების თვეს უწოდებდნენ, ფრანგები — ყვავილთა თვეს, ფლორეალს, რუსები — ტრავნს.

ძველად მაიხს საქართველოში ვარდობისას ანუ ვარდობისთვეს უწოდებდნენ.

სამაისო დღესასწაულები ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს მთელ რიგ ხალხებში. მას ყველა თავისებურად ზეიმობდა.

ქართლსა და კახეთში „შვიდმაისობა“ იცოდნენ. ქალ-ვაჟნი ამ დროს მინდვრად გადიოდნენ და სიმღერა-თამაშით იძახდნენ: „შვიდ მაისის წვიმა, თმაი კოჭამდინა“. თან წნავდნენ გვირგვინებს, რომელთა რტოები კოჭებამდე უნდა ჩამოსწოდათ. მაისის საღამოებში ვაჟები ხის ტოტებითა და ვარდ-ყვავილებით რთავდნენ იმ სახლებს, სადაც სატრფო ეგულებოდათ. თუ ქალი აიღებდა ვარდის კონას, ამით, წესის თანახმად, თანხმობას აძლევდა ვაჟს.

ასე იყო ძველად, მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა.

დღეს სულ სხვა შინაარსი აქვს მაისის დღესასწაულს — 1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეა. იგი 1889 წლის ივლისში დაწესდა II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე იმ მუშების ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც დაღუპნენ 1886 წლის 1 მაისს ჩიკაგოში, როცა პოლიციამ მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი სისხლის მორევში ჩაახშო. 1890 წელს პირველმაისობა მოეწყო გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრია-უნგრეთში, ესპანეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, 1891 წელს — პეტერბურგში, 1892 წელს — ლონდონში და სხვ.

თბილისელმა მუშებმა ეს დღე პირველად 1898 წელს აღნიშნეს. მსოფლიოს მოწინავე კაცობრობა ყოველწლიურად დღესასწაულობს საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — პირველ მაისს. გამონაკლისს წარმოადგენენ შოტლანდიელი მუშები, რომლებიც მშრომელთა დღეს და მაღაროელთა დღესასწაულს ერთდროულად 3 მაისს ზეიმობენ.

ს. ნუცუბიძე.

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲩᲔᲕᲐᲠᲓᲝᲕᲘ — ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

სიმფეროპოლის ტრეკზე წარმატებით ისპარეზა. თბილისელმა ველოსიპედის ტმპეტრე ჩევარდოვმა. მან ექვსდღიან შეჯიბრებაში ყველა მეტოქეს აჯობა და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. სპორტმენები პირველ ორ დღეს 4 კილომეტრზე გამოდევნებით შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ. მომდევნო ორ დღეს 52 საუკეთესო ველოსიპედისტი ერთმანეთს 100-100 წრეზე (საშუალედო ფინიშებით) ეჯიბრებოდა, ბოლო ორ დღეს კი 27 სპორტსმენი განაგრძნობდა პირველობისთვის ბრძოლას (ცალკე 100-100 წრე საშუალედო ფინიშებით). პეტრე ჩევარდოვმა ყველა ეტაპზე სტაბილურად ისპარეზა და საბოლოოდ მკერდი სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა.

ᲒᲝᲚᲝ ᲢᲣᲠᲘᲡ წᲘᲜ

ხელგაურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მე-20 და 21-ე ტურის მატჩებში თბილისის „ბურევესტნიკმა“ 3 ქულა დააგროვა: თბილისელებმა მინსკელი არმიელები დაამარცხეს (28:26), შემდეგ კი ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ შეხვედრა ფრედ (26:26) დამთავრეს. ერთი ტურიც და ჩემპიონატი დამთავრდება.

ბოლო ტურის წინ ცნობილია ორი პრიზიორის ვინაობა: ცსკა (I ადგილი) და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი (II ადგილი). უკანასკნელი მატჩების წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: 1. ცსკა — 40 ქულა, 2. საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 33, 3. „გრანიტასი“ (კაუნასი) — 27, 4-5. „კუნცევო“ (მოსკოვი) და ასკ (კიევი) — 26-26, 6-7. „ბურევესტნიკი“ და ასკ (მინსკი) — 23-23, 8. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (კრასნოდარი) — 19, 9. ასკ (ლვოვი) — 13, 10. ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი (ზაპოროჟიე) — 10, 11. „ალუმინსტროი“ — 9, 12. „ცელტნიეკსი“ (რიგა) — 3 ქულა.

ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

მონრეალში მიმდინარე დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის მეცამეტე ტურში ანატოლი კარპოვმა დაამარცხა ბორის სპასკი, მიხეილ ტალმა — რობერტ ჰიუბნერი (გფრ), ლუბომირ კავალეკმა (აშშ) — ლუბომირ ლუბოიევიჩი (იუგოსლავია). იან ტიმანმ (პოლანდია)-ვლასტიმილ ჰორტისა (ჩეხოსლოვაკია) და ლაიმ პორტიშ (უნგრეთი)-ბენტ ლარსენის (დანია) პარტიები გადაიდო.

9-9 ქულით ლიდერობენ მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი და მსოფლიოს ექსჩემპიონი ტალი. კარპოვს ერთი გადადებული პარტია აქვს. მომდევნო ტურში კარპოვი პორტიშს შეხვდება, ტალი — ლარსენს.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

მძლეოსნობა. მინსკელმა ვლადიმერ მერკუშინმა ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა მძლეოსნურ მარათონში, რომელიც ტრადიციულად ჰელსინკში იმართება. 25-კილომეტრიანი დისტანცია მერკუშინმა გაირბინა 1 საათში, 15 წუთსა და 33 წამში.

ფრანგურთი. დამთავრდა ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „ურალოჩკა“ (სვერდლოვსკი) — 24 ქულა, 2. ცსკა — 20,3. „დინამო“ (მოსკოვი) — 15 ქულა.

მაბიდის ჩოგბურთი. ფხენიანში მიმდინარეობს მსოფლიოს 35-ე ჩემპიონატი. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა კარგად ისაპარეზა ქვეჯგუფში და გზა გაიკაფა ფინალური ოთხეულისაკენ.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ახლახან დამთავრდა მხატვრის ტრადიციული საგაზაფხულო კვირეული.

— იგი მთელი ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით მიმდინარეობდა, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ნ. ჯანბერიძემ.** — და კიდევ ერთხელ დავიწმუნდით, თუ როგორ აფასებენ საქართველოს მშრომელები სახვითი ხელოვნების ჭეშმარიტ ოსტატებს, მათ ყოველდღიურ შემოქმედებას.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გამოვფინეთ სამამულო ომის ვეტერან მხატვართა ნამუშევრები, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

უნდა გვნახათ, რა საზეიმო განწყობილება იყო გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, სადაც გულითადად უმასპინძლეს ქართველ მხატვრებს, მათი ნაწარმოებების გამოფენას. მხატვრის წლევანდელ კვირეულს საკმაო რეზონანსიც ჰქონდა. სპეციალურად ამ კვირეულის გამო ჩვენ გვეწვივნენ უცხოელი ჟურნალისტები. მათ მაღალი შეფასება მისცეს ქართულ სახვით ხელოვნებას.

კვირეულის, შეიძლება ითქვას, დამაგვირგვინებელი აკორდი იყო საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, რომელიც თანამედროვე ქართული გრაფიკის პრობლემებს მიეძღვნა.

ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲔ, ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

□

ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲩᲘᲗᲐ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საგარნიზონო და საყარაულო სამსახურების წესდებაში წერია, საყარაულო სამსახური საბრძოლო ამოცანის შესრულებაო და ეს მარტო სიტყვები როდია.

... შუალამეა. საყარაულო შენობაში არ სძინავთ მარტო იმ ცვლის ჯარისკაცებს, რომლებიც უნდა ფხიზლობდნენ. უცებ ტელეფონი აწკრიალდა. და ყარაულის უფროსის თანაშემწემ, ეფრეიტორმა ბობროვსკიმ ყურმილში გაიგონა, რგვითი იაკიმოვიჩის აღელვებული ხმა:

საგუშაგოზე ხანძარია!

ჯარისკაცებს სულ რამდენიმე წუთი დასჭირდათ, რომ საგუშაგოდან მიერბინათ. ძლიერი ქარი კი სულ უფრო და უფრო აჩაღებდა მოკლე ჩართვისგან გამოწვეულ ხანძარს. ჯარისკაცებმა გუშაგთან მიირბინეს დასახმარებლად. ისინი მიწას აყრიდნენ ცეცხლის ალს, ცდილობდნენ ჩაექროთ. მალე სტიქია დამორჩილეს კიდეც.

ცეცხლთან ჭიდილში მამაცურად და თავდადებით მოქმედებდნენ ეფრეიტორი ბობროვსკი, რიგითები ბარიშნიკოვი, დავითაშვილი, ვესელოვი, იაკიმოვიჩი. თითოეულ მათგანს მეთაურმა მადლობა გამოუცხადა.

ᲠᲝᲪᲐ ᲯᲮᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲡ ᲣᲭᲘᲠᲡ

რიგითი ნ. ნანუაშვილი ცუდ გუნებაზე იყო: ამჯერადაც ყველანი კარგად ისროდნენ, მის სამიზნეს კი არც ერთი ტყვია არ მოხვედრია.

საცეცხლე მომზადებაში თავისი ჩამორჩენით იგი მთელ ათეულს უკან სწევდა. მაგრამ ჯარისკაცთა შეგობრულ ოჯახში გასაჭირში მყოფ ადამიანს მუდამ ეხმარებიან. ათეულის ხაუკეთესო მსროლელმა ს. სტოლბოვმა გულისყურით შეამოწმა, როგორ უმიზნებდა ნანუაშვილი და როგორ ისროდა: აღმოჩნდა, რომ ჯარისკაცი მეტად ნაადრევად აჭერდა ხელს ჩახმახის სასხლეტს. ეფრეიტორმა ს. სტოლბოვმა გადაწყვიტა დახმარებოდა ამხანაგს, ესწავლებინა მისთვის სროლისათვის მომზადების წესები, დამიზნება, ჩახმახის გამოკვრა.

და აი ათეულის ჯარისკაცები კვლავ სასროლ მოედანზე არიან. ნანუაშვილის ჯერიც დადგა.. ცეცხლი გაიხსნა. საცეცხლე მიჯნაზე რომ მოკმედებდა, მან სტოლბოვის რჩევა-დარიგება გაიხსენა. სასროლი მოედნიდან ჯარისკაცი ღიმილით სახეგაბადრული ბრუნდებოდა — მან მორიგ მეცადინეობაზე კარგი შეფასება დაიმსახურა.

პოდპოლკოვნიკი
ა. პავლოვსკი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐ ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ!..

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲕᲘᲗᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტზე არის ერთი ბიბლიოთეკა, სადაც ერთი ბალიპოვი, რომელიც 25 ენას ფლობს, მათგან კი 20-ზე თავისუფლად მეტყველებს.

სკოლა რომ დამთავრა, მომავალმა სადუნმა (პოლიგლოტმა) უკვე ოთხი უცხო ენა იცოდა: ინგლისური, ფრანგული, ფინური და შვედური. მათგან უკანასკნელი აირჩია და უცხო ენების ინსტიტუტში, შვედური ენის განყოფილებაზე გაგზავნა სწავლა, აქ ბალიპოვმა დამოუკიდებლად ისწავლა კიდევ ოთხი ენა: ნორვეგიული, დანიური, ისლანდიური და ჰოლანდიური. გამოხდა ხანი, ბალიპოვი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი გახდა და არაბული ენებით დაინტერესდა. ერთი წლის შემდეგ სერგი ბალიპოვი არაბულ ენებს დაეუფლა, თურქული და პორტუგალიურიც შეისწავლა, შემდეგ კი უფრო იშვიათმა ენებმა გიიტაცა.

ახლა 40 წელს გადაცილებული სერგი ბალიპოვი იაპონურს სწავლობს.

ᲤᲧᲣᲕᲘᲡᲪᲐᲚᲘ ᲭᲣᲭᲣᲚᲔᲑᲘ

ახლახან ბათუმის ზღვისპირა ბაღში იშვიათი ამბავი მოხდა: შავ გედებს სამი ჭუჭული შეეძინათ. ისინი წუთითაც არ შორდებიან მშობლებს და ამთავითვე ეჩვევიან პარკის დეკორატიულ ფრინველთა მრავალფეროვან ოჯახს, სადაც გედებთან ერთად შეხვდებით ფარშევანგებს, იაპონურ იხვებს, ნაირფერ ყანჩებს და. სხვ.



სურათზე: ბათუმის ზღვისპირა ბაღის ახალი ბინადრები.

ნ. ანასტასიევის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

ᲘᲛᲐᲙᲘᲡᲘ
პირველი პროგრამით

09.45 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემები თბილისიდან და მოსკოვიდან. დასასრულ საზეიმო კონცერტი (მ.), 13.00 — ბავშვებისათვის „მხიარული განწყობილება“ (ფ.), 13.30 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ჟორნალი“, „სერენადა“, 14.35 — „ხოლიგანობა“ — საერთაშორისო პროგრამა (მ.), 15.05 — მსოფლიოსა და ევროპის უძლიერეს მოციგურაოვეთა საჩვენებელი გაზოსლვები, 16.15 — მღერის საქართველოს გელენვიზიისა და რადიომაუწყებლობის ვოკალური ანსამბლი (ფ.), 16.40 — „ეოეზია“ — ანა კალანდაძე (ფ.), 17.40 — მუსიკალიკაციური ფილმი „იყავი ჩემი სპილო!“ (ფ.), 18.00 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 1 მაისისადმი მიძღვნილი ზეიმის რეპორტაჟი — თბილისიდან, 20.00 — საგელეკვიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „მცირე მიწა“ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მცირე მიწის“ მიხედვით. ფილმი პირველი. პრემიერა (მ.), 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.05 — „მარადისობა“ (ფ.), 21.25 — კონცერტი „სამაისო“ (ფ.), 22.00 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის პირველი მაისისადმი მიძღვნილი ზეიმის რეპორტაჟი მოსკოვიდან, 23.00 — მიწიერეტრების საგელეკვიზიო თეატრი — „13 სკამი“ (მ.),

მეორე პროგრამით

15.55 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ვერონიკა დაკვიბრუნდა“ (ფ.), 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფერკო“, 17.15 — „225 დღე 1418-დან“ ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მცირე მიწის“ მიხედვით (ფ.), 18.30 — მხატვრული ფილმი „რბოლა“. პირველი ნაწილი (ქართულ ენაზე. ფ.).

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ᲘᲛᲐᲙᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ (მესამე აბონ. მეათე წარმ.); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲨᲝᲗᲐᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐ; ვახტანგ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ; მინიატურების სახელმწიფო — ᲙᲐᲠᲜᲐᲕᲐᲚᲘ; ბავშვების თეატრი — ᲫᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲗ.**

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

1979 წლის 5 და 6 მაისი საჩვენებელი გამოსვლები ციბურაბიდ ფიბურულ სრიალში

მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური სპარეზობის მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები

ი. მოისეევა, ი. ვორობიოვა, ი. ოვჩინკოვი, ა. მენენკოვი, ი. ლიხოვსკი, ი. ბობრინი, ა. კაკორა და სხვები.

დასაწყისი — 16 და 20 საათზე.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝᲑᲐᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ᲠᲔᲓᲘᲓᲐᲜ-ᲛᲐᲠᲡᲘᲡ ᲕᲔᲚᲐᲛᲓᲔ

ომონიის მოედნიდან დღესასწაულის მონაწილენი ათენის გარეუბან რედისკენ დაიძრნენ, სადაც 12 საათზე დიდი მიტინგი გაიმართა.

მკაცრი ცენზურის გამო „რიზოსპასტისის“ შეეძლო მხოლოდ მოკლედ ეცნობებინა ყოველი გამოსვლის შესახებ. მღებარმა ი. ხაჯიმიპალოსმა ილაპარაკა საფეიქრო ფაბრიკაში შრომის მძიმე პირობებზე. ელექტროტექნიკოსმა გ. პაპანიკოლაუმ შეკრებილთ მოუწოდა: „მთელი წელიწადი თავაუღებლად ვშრომობთ, და ერთი დღე მაინც იყოს ჩვენი დღე, მუშათა პირველმაისობაო“. ა. ბენროროიამ, სალონიკის მუშათა წარმომადგენელმა, თქვა: „ძველი სმყარის ნანგრევებზე ჩვენ საკუთარი ხელით უნდა ავაშენოთ ახალი სოზგადოება. პირველმაისობა — ეს ჩვენი აღორძინების დღესასწაულია. ამიერიდან წელგამართულმა უნდა ვიაროთ — ჩვენთვის ახალი ცხოვრება იწყება, ახალი იმედებით გაციცხოვნებული“.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მთავრობისადმი მიმართვა, რომელშიც მოითხოვდნენ 8-საათიან სამუშაო დღეს, პროფკავშირთა წევრების, მუშათა აქტივისტების დევნის შეწყვეტას. შეკრებილებმა მქუხარე ტაშით მიიღეს სალონიტესტო რეზოლუცია საბჭოთა რუსეთში იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენციის წინააღმდეგ.

მარტო ათენის პირველმაისობაში მონაწილეობა მიიღო 30 ათასმა მუშამ — ათენის მშრომელთა თითქმის სამმა მეოთხედმა. მანიფესტაციები გაიმართა აგრეთვე სალონიკში, ლარისში, ტრიკალეში, ვოლოსესა და პირგოსში.

მთავრობამ არ დაიცვა თავისი დაპირება — შემწყნარე ყოფილიყო მუშათა დემონსტრაციების მიმართ: პროფკავშირების ზოგიერთი ლიდერი დაატყვევა, მთელი საორგანიზაციო კომიტეტი „ავეროფის“ საპატიმროში დამწყვდიეს, მაისობის ბევრ მონაწილეზე პოლიციამ დოსიე შექმნა. ძირითადად მაინც სეკეს შეუტიეს: პარტიის შენობა პოლიციელებმა დაიკავეს. დაიწყო პარტიის წევრთა დაპატიმრება.

ქვეყნის ბურჟუაზიულმა გაზეთებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ან საერთოდ არ ახსენეს საბერძნეთის პირველმაისობა, ან და შეეცადნენ დაემახინჯებინათ ამ მოვლენის მნიშვნელობა. მაგალითად, გაზეთი „ესტია“ წერდა: „ჩაშალა ებრაელებისა და ბულგარელების ცდა მოეწყოთ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებიო“.

მას შემდეგ 60 წელი გავიდა. ეს იყო წლები საბერძნეთის მშრომელთა დაძაბული ბრძოლისა, თავისუფლებისა და უფლებებისათვის. რეაქციული რეჟიმის დამქაშებს ბევრჯერ გაურეკიათ მუშათა დემონსტრაციები, დაუპატ